ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1594492

ნომერი: AR1264368

თარიღი : 09.11.2014

გაცემის თარიღი : 14.11.2014

გაცნობის თარიღი : 15.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყუშიტაშვილი , N 84 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ ვაშაკიძე პ/ნ 01029006066
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 35 ბ. 6

ორგანიზაცია:

- შპს Corso კოდი: 406087336

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 05.11.2013წ. #981888 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 09 ნოემბერს #AR1264368 განცხადებით მომართა თემურ ვაშაკიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 05.11.2013წ. #981888 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.11.2013წ. #981888 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ყუშიტაშვილის ქუჩა #84–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: #01.10.12.031.026) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, ხოლო 31.12.2013წ. #1065226 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 30 დეკემბრიდან 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.11.2013წ. #981888 ბრძანებაში არასწორად აისახა ცალკეული ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი, კერძოდ, საერთო ფართობი 2449.2 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 2451.3 კვ.მ.–ს, ხოლო საზაფხულო ფართობი 511.8 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 513.9 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელები შეესაბამება შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.11.2013წ. #981888 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 2451.3 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობად მიეთითოს 513.9 კვ.მ.
2.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.11.2013წ. #981888 ბრძანებასთან ერთად;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.